საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პლატფორმის გაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 29 ნოემბერი, 2023 წელი

დრო: 16:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
4. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
5. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
6. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
7. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
9. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
10. მადონა ხარებავა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ნშობელთა ასოციაცია „დეა“
11. ალეკო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
12. სალომე სვანიძე - ქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისთვის
13. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მულტიეთნიკური რესურსცენტრი
14. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
15. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
16. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
17. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი

18. კახაბერ ლომაძე - საქართველოს ევროკლუბების ალიანსი
19. პაატა გაფრინდაშვილი - საქართველოს რეფორმების ასოციაცია
20. ირმა პავლიაშვილი - ღია სივრცე კავკასია
21. ლევან ავალიშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
22. ანდრო ნიკოლაიშვილი - სამანი
23. გურამ იმნაძე - სოციალური სამართლიანობის ცენტრი
24. ბაია პატარაია - კავშირი „საფარი“
25. გიორგი ჭუმბურიძე - ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი ქუთაისი
26. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
27. მადონა ხარებავა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ნშობელთა ასოციაცია „დეა“
28. ეკა ბარამიძე - ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
29. სალომე სვანიძე - სამოქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისთვის
30. მარიამ ჭილაშვილი - მედიის განვითარების ფონდი
31. ნანა თოდუა - ასოციაცია მერკური
32. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
33. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
34. ნატო ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
35. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
36. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
37. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
38. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
39. ანდრო ნიკოლაიშვილი - სამანი
40. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება

განსახილველი საკითხები:

1. წევრი ორგანიზაციების მოსაზრებები და შეხედულებები მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით

ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების გაფართოებული შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ. მან შეხვედრაში მონაწილე პირებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მიაწოდა მოკლე ინფორმაცია.

საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პლატფორმის წევრი ორგანიზაციების პოზიციების მოსმენა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

წევრებთან შეხვედრის ინიციატორი იყო პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ნონა ქურდოვანიძე. მან შეხვედრაზე დააყენა რამდენიმე საკითხი, რომელიც მას მიაჩნია მნიშვნელოვან გამოწვევად, ესენია: წევრებთან ფართო ჩართულობის ფორმატების განახლების საჭიროება; მემორანდუმის გაფორმების პროცესი, მისი შინაარსი და ეფექტური ფუნქციონირება. მან კონკრეტულად ისაუბრა რამდენიმე საკითხზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის სამუშაო ვერსიაზე განხილვების პროცესში წევრთა ჩართულობა იყო უზრუნველყოფილი, მემორანდუმის საბოლოო ტექსტი, რომელიც შეთანხმდა პარლამენტთან, მხოლოდ ინფორმირების სახით იყო გაზიარებული პლატფორმის წევრებთან. მან აქვე აღნიშნა, რომ პარლამენტის მხრიდან უკვე რამდენჯერმე დაირღვა მემორანდუმი და ამასთან დაკავშირებით რეაგირების მექანიზმებსა და ფორმებზე არ გვაქვს გადაწყვეტილება მიღებული. მან ასევე მესამე ერთობლივი კონფერენციის გამართვის საკითხის პრობლემაზე ისაუბრა, რადგან დაგეგმვის პროცესი არ იყო შეჯერებული წევრებთან.

შეხვედრაში მონაწილე პირთა ერთი ნაწილი, იზიარებდა კოორდინატორის მიერ გამოთქმულ ძირითად წუხილებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წევრების მიერ, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან და პარლამენტთან არის მნიშვნელოვანი და გამოთქვამენ მზადყოფნას სამუშაო ფორმატებში ჩართულობასთან დაკავშირებით.

პროცესების ინკლუზიურად და ეფექტურად წარმართვის უზრუნველსაყოფად, მეორე ნაწილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს წევრებთან კომუნიკაციის გააქტიურებასა და მათ სრულფასოვან ჩართულობას. ასევე, იზიარებენ პოზიციას მემორანდუმის ტექსტთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ დოკუმენტის მეტად დახვეწა იქნებოდა სასურველი, თუმცა პროცესი იყო ორმხრივი, ინტენსიური მუშაობის შედეგი და გაფორმებული მემორანდუმი დიდ შესაძლებლობებს აძლევს სამოქალაქო საზოგადოებას.

თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ პლატფორმა აერთიანებს ასოცირების ხელშკრულებით გათვალისწინებულ სხვადასხვა მიმართულებებს. კოალიცია და ქვეყანა აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვან ვითარებაში, რომელიც ქვეყნის განვითარებისა და მშვიდობიანი მომავლისთვის არის გადამწყვეტი. 12 პრიორიტეტის შესრულების პროცესი მოითხოვდა სწრაფ გადაწყვეტილებებს. მისი თვალსაზრისით, შესაძლოა, მოქნილობის თვალსაზრისით გვქონდა გარკვეული ხარვეზი, თუმცა საერთო ჯამში, სისტემურად პროცესები სწორი მიმართულებით წარიმართა. ახლა მთავარია, 15 დეკემბერს მივიღოთ კანდიდატის სტატუსი და ინტენსიურად გავაგრძელოთ სვლა 9 ნაბიჯის შესასრულებლად.

ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ შეაჯამა გაფართოებული შეხვედრა და აღნიშნა, რომ ყველა წევრი ორგანიზაციის პოზიცია არის მნიშვნელოვანი. მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები კი უნდა იქნას გამოსწორებული. იგი იმედს იტოვებს, რომ 19 დეკემბერს დაგეგმილ საერთო კრებაზე წევრები აქტიურად ჩაერთვებიან, რადგან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა იგეგმება, როგორიცაა წესდებაში ცვლილებების შეტანა, პლატფორმის თავმჯდომარისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინატორთა არჩევნები, ასევე დავების განმხილველი ორგანოსა და ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წევრთა არჩევნები.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე